

ფინანსური ანგარიშგება მსს ფასს-ის შესაბამისად წარმოდგენილია
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თბილისი

2025 წლის 20 მაისი

შინაარსი:

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე -----	3
საზოგადოების საქმიანობის შედეგები (მოგება-ზარალის ანგარიშგება) -----	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი) -----	5
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანალიზი -----	6
კაპიტალის ცვლილებების ანალიზი -----	7
განმარტებითი შენიშვნები -----	8

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ინფორმაციის მომზადებასა და დამტკიცებაზე
2023 წლის 31 დეკემბრისთვის

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ინფორმაციის მომზადებაზე, რომელიც ნათლად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და მის მიერ განხორციელებული ქმედებების შედეგებს. ფინანსურ მდგომარეობას (აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის თანაფარდობა), საწარმოს საქმიანობის შედეგებს (სრული შემოსავლებისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება), ფულადი ნაკადების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დაცვით (მსს ფასს-ები).

ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- ამოირჩიოს შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპები და შესაბამისად გამოიყენოს ისინი;
- მოახდინოს წინდახედული და არსებითი შეფასებები;
- მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ინფორმაცია წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში;

მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური და ხარისხიანი სისტემა კომპანიაში;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ჩანაწერების აღრიცხვა შესაბამისი სიზუსტით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია მსს ფასს-ების დაცვით;
- გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დაიცვას კომპანიის აქტივები;
- აღმოფხვრას სხვადასხვა დარღვევები.

შპს-ის „კასტა“ დირექტორი



დავით გოგოჭური

შპს „კასტა“ (საიდენტიფიკაციო N400001840)

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დასახელება	შენიშვნა	12/31/2023	12/31/2022
ნეტო ამონაგები	5.1.	11,511,528	13,662,479
საქონლის გაყიდვიდან		11,511,528	13,662,479
სულ შემოსავალი		11,511,528	13,662,479
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5.4.	-	-
საწყისი მარაგები		-	-
მარაგების შესყიდვა		-	-
საბოლოო მარაგები		5,554,232	4,426,677
საერთო მოგება		4,746,046	4,861,376
სხვა შემოსავალი	5.3.	38,352	131,391
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამრჯელო	5.5.	-	-
საპროცენტო შემოსავალი	5.2.	241,622	244,781
საპროცენტო ხარჯი	5.6.	-	-
იჯარის ხარჯი	5.7.	-	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	5.8.	-	-
სულ საოპერაციო ხარჯი		-	-
საოპერაციო მოგება		2,159,521	-1,621,405
გაუფასურების ხარჯი რევერსირება		2,586,525	3,239,971
მოგება/(ზარალი)მოგების გადასახადის ხარჯამდე		2,586,525	3,239,971
მოგების გადასახადი			
მოგება/(ზარალი)		2,586,525	3,239,971
სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)			
ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი			
სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი),სულ		2,586,525	3,239,971
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		2,586,525	3,239,971
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი		7,562,260	4,322,289
dividendi			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		10,148,785	7,562,260

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება
დამტკიცებულია 2025 წლის 20 მაისი:
შპს „კასტა“ (საიდენტიფიკაციო N400001840)

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

/დავით
გოგოჭური//დავით
გოგოლაძე/

შპს „კასტა“ (საიდენტიფიკაციო N400001840)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები

მიმდინარე აქტივები	შენიშვნა	12/31/2023	12/31/2022
ფულადი სახსრები	4.1.	2012195	2315107
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4.2.	708212	705961
მომწოდებელზე გადახდილი ავანსი	4.3.	2204992	852828
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	4.4.	5554232	4426677
სხვა მიმდინარე აქტივი	4.5.	48447	8687
სულ მიმდინარე აქტივები		10528078	8309260
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4.6.	2807224	2058111
სულ გრძელვადიანი აქტივები		2807224	2058111
სულ აქტივები		13335302	10367371

ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი

მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	4.8.	1644094	0
სხვა ვალდებულებები	4.10.	113090	37919
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	4.11.	30272	0
გადასახდელი ხელფასები	4.9.	8816	0
სულ მიმდინარე ვალდებულება		1796272	37919
გრძელვადიანი ვალდებულება			
სხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	4.13.	1390245	2767192
სულ გრძელვადიანი ვალდებულება		1390245	2767192
სულ ვალდებულება		3186517	2805111
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		10148785	7562260
სხვა რეზერვები			
სულ კაპიტალი		10148785	7562260
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		13335302	10367371

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 20 მაისი:

შპს „კასტა“ (საიდენტიფიკაციო N400001840)

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

/დავით

გოგოჭური/

/დავით

გოგოლაძე/

შპს „კასტა“ (საიდენტიფიკაციო N400001840)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2023 წელი	2022 წელი
საოპერაციო საქმიანობა		
საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები	13,642,554	15,798,125
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	13,642,554	15,798,125
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(7,448,998)	(10,341,474)
შრომის ანაზღაურება	(943,865)	(645,229)
გადახდილი გადასახადები	(2,098,031)	(2,457,910)
საპენსიო ფონდი	(46,750)	(28,554)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(931,194)	(862,278)
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2,173,716	1,462,680

საინვესტიციო საქმიანობა		
ფულადი სახსრების შემოსვლა კაპიტალის გაზრდის გზით		
საინვესტიციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები		
ფულადი სახსრების გასვლა კაპიტალის შემცირების გზით		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის	(998,859)	(1,025,991)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(998,859)	(1,025,991)

საფინანსო საქმიანობა		
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან		1,100,000
საპროცენტო შემოსავალი	241,623	244,782
სხვა ფინანსური შემოსავალი		
საფინანსო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	241,623	1,344,782
სესხის ძირის და პროცენტის გადახდა	(1,670,910)	(738,122)
საბანკო ხარჯები/საკომისიოები	(38,770)	(28,881)
სხვა ფინანსური ხარჯები		(439)
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(1,468,057)	577,340
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	(293,200)	1,014,029
სავალუტო კურსის ეფექტი	(9,712)	(122,958)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	2,315,107	1,424,036
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	2,012,195	2,315,107

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 20 მაისი:

შპს „კასტა“ (საიდენტიფიკაციო N400001840)

დირექტორი



/დავით გოგოჭური/

მთავარი ბუღალტერი



/დავით გოგოლაძე/

შპს „კასტა“ (საიდენტიფიკაციო N400001840)

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

შინაარსი	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღისთვის	0	2,392,896	0	2,392,896
მოგება / (ზარალი)		1929393		1,929,393
დივიდენდის გამოცხადება		0		0
ნაშთი 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	0	4,322,289	0	4,322,289
მოგება / (ზარალი)		3239971		3,239,971
დივიდენდის გამოცხადება		0		0
ნაშთი 2022 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	0	7,562,260	0	7,562,260
მოგება / (ზარალი)		2,586,525		2,586,525
დივიდენდის გამოცხადება		0		0
ნაშთი 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	0	10,148,785	0	10,148,785

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 20 მაისი:

შპს „კასტა“ (საიდენტიფიკაციო N400001840)

დირექტორი

/დავით
გოგოჭური/

მთავარი ბუღალტერი

/დავით
გოგოლაძე/

განმარტებითი შენიშვნები შპს „კასტა“ 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „კასტა“ (შემდგომში „საწარმო“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2010 წლის 02 მარტს. საწარმოს დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელია ფიზიკური პირი ზაზა ბაღდავაძე (პნ01021010210)

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- სააგენტო მასალის საცალო და საბითუმო გაჭრობა;
- სხვა საქმიანობა, რაც მოქმედი კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

საწარმო წარმოადგენს მესამე კატეგორიის (საშუალო) საწარმოს. შვილობილი და მეკავშირე საწარმოები არ გააჩნია.

2. საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები:

საწარმოს მომავალი ფუნქციონირების გასაანალიზებლად ვიხელმძღვანელოთ 2019-2023 წლების შემოსავლების ანალიზის საფუძველზე და მოვახდინეთ მომავალი წლის შემოსავლების პროგნოზირება.

პერიოდი	შემოსავალი
01.01.2019 - 31.03.2019	1 158 832
01.04.2019 - 30.06.2019	1 714 882
01.07.2019 - 30.09.2019	1 914 066
01.10.2019 - 31.12.2019	2 443 244
01.01.2020 - 31.03.2020	1 465 588
01.04.2020 - 30.06.2020	1 031 110
01.07.2020 - 30.09.2020	1 996 432
01.10.2020 - 31.12.2020	2 197 209
01.01.2021 - 31.03.2021	1 328 321
01.04.2021 - 30.06.2021	2 634 626
01.07.2021 - 30.09.2021	2 657 175
01.10.2021 - 31.12.2021	3 056 213
01.01.2022 - 31.12.2022	13 662 479
01.01.2023 - 31.12.2023	11 511 528

ზემოაღნიშნული სტატისტიკური მაჩვენებლები ცხადყოფს, რომ კომპანია წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს, საწარმო ფინანსურად სტაბილურია და მას შეუძლია საკუთარი სახსრებით გააგრძელოს კომპანიის განვითარება და ბაზარზე ლიდერის პოზიციის დაკავება.

სევე, აღსანიშნავია ისიც, რომ კომპანიის შემოსავლების სტატისტიკა მზარდი ტენდენციით ხასიათდება, რაც ცალსახად მზარდ ეკონომიკურ პოტენციალზე მიუთითებს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად, საწარმოს მიერ 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მსს ფასს-ის შესაბამისად მოხდა პირველად. საწარმოს საოპერაციო (მუშა) და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა – ლარი;

საწარმოს წინა საანგარიშგო პერიოდებში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვრიდან.

საწარმოს მიერ წარმოდგენილი 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და მსს ფასს-ის შესაბამისად და მოიცავს:

- ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშგებას;
- საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგებას;
- ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
- კაპიტალის მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
- განმარტებით შენიშვნებს.

4. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება:

4.1. ფულადი სახსრები:

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებულ ფულად სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახა ცალ-ცალკე, პირდაპირი მეთოდით;

დასახელება	ანგარიში	31.12.2022	31.12.2023
ნაღდი ფული საღაროში	1100	222 951	90 890
ფული საბანკო ანგარიშებზე	1200	2 092 156	1 921 305
ჯამი		2 315 107	2 012 195

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულად სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის – 31 დეკემბერს არსებული კურსით; შეზღუდული ფული ან ფულის ეკვივალენტები საწარმოს საანგარიშგებო პერიოდში არ გააჩნდა;

4.2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

საწარმოს სავაჭრო მოთხოვნების ანგარიშზე ასახული აქვს თანხები, რომლებიც წარმოიქმნა დარიცხული შემოსავლებიდან და რომელთა გადახდაც საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის არ განხორციელებულა. ამასთან, საზოგადოებას საქონლისა და მომსახურების მიწოდება დაკავშირებული მხარეების მიმართ არ განუხორციელებია. ასეთის არსებობის შემთხვევაში მათი ასახვა მოხდებოდა განცალკევებულად.

დასახელება	ანგარიში	31.12.2022	31.12.2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1410	705 961	708 212
ჯამი		705 961	708 212

4.3. მომწოდებლებზე გადახდილი აგანსი:

დასახელება	ანგარიში	31.12.2022	31.12.2023
მომწოდებლებზე გადახდილი აგანსები	1480	852 828	2 204 992

4.4. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები:

შესყიდული მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით ხოლო, გაყიდული მარაგების თვითღირებულების აღიარება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულით. ამასთან, საწარმოს გრძელვადიანი მარაგები არ გააჩნია.

დასახელება	ანგარიში	31.12.2022	31.12.2023
საქონელი	1610	542 245	649 371
კრონოშპანის სამზარეულოს ზედაპირები	1612	130 650	119 895
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	1690	41 347	123 057
წიბო	1613-14-15	273 225	516 472
უფერო MDF _DSP_ Merchandise inventory	1611	2 440 158	2 487 847
საქონელი Merchandise inventory	1616	0	354 033
ფურნიტურა	1617	22 825	30 624
ახალი სასაწყობე ფართზე გასახარჯი მასალები	1622	976 227	1 272 932
ჯამი		4 426 677	5 554 231

4.5. სხვა მიმდინარე აქტივები:

დასახელება	ანგარიში	31.12.2022	31.12.2023
საგადასახადო აქტივი	1490	8 687	0
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	1430	0	48 447
ჯამი		8 687	48 447

4.6. ძირითადი საშუალებები:

კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ცვეთის გამოკლებით. გაუფასურების ნიშნები საანგარიშგებო პერიოდისათვის დადგენილი არ ყოფილა და ანგარიშგებაში გაუფასურების ზარალი არ დაფიქსირებულა; ამასთან, მრავალჯერადი გამოყენების მცირეფასიანი ინსტრუმენტები და ინვენტარი, რომელთა სასარგებლო ეკონომიკური გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია, მიკუთვნებულია სხვა მიმდინარე აქტივებზე;

დასახელება	ანგარიში	31.12.2022	31.12.2023
მიწის ნაკვეთები	2110	627 216	907 166
მანქანა-დანადგარები	2150	1 557 320	1 947 409
მანქანა-დანადგარების ცვეთა	2250	- 300 523	- 300 523
ოფისის აღჭურვილობა	2160	40 367	60 044
ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	2260	- 4 519	- 4 519
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2170	6 404	6 404
ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთა	2270	- 2 524	- 2 524
სატრანსპორტო საშუალებები	2180	14 126	70 524
სხვა ძირითადი საშუალებები	2191	120 244	120 244
ჯამი		2 058 111	2 807 224

4.7. არამატერიალური აქტივები:

საწარმოს არ გააჩნია საკუთარი პროგრამული უზრუნველყოფა, თუმცა აღნიშნულ მომსახურებას იღებს გარე კომპანიიდან;

დასახელება	ანგარიში	31.12.2021	31.12.2022
სხვა არამატერიალური აქტივები	2590	0	0

4.8. სავაჭრო ვალდებულებები:

საწარმოს სავაჭრო ვალდებულებების ანგარიშზე ასახული აქვს თანხები, რომლებიც წარმოიქმნა დარიცხული ხარჯებიდან და რომელთა გადახდაც საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის არ განხორციელებულა. შესაბამისად, სავაჭრო ვალდებულებები აღიარებულია პირვანდელი ღირებულებით.

დასახელება	ანგარიში	31.12.2022	31.12.2023
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	3110	0	1 644 094

4.9. გადასახდელი ხელფასები:

საწარმო, მის ფასს-ის 28-ე განყოფილების მოთხოვნების სრული დაცვით აღრიცხავს დაქირავებულ პირთა გასამრჯელოს. მოცემული სტანდარტის გათვალისწინებით, საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის დარჩენილი აქვს თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების გადახდის ვალდებულება. აღნიშნული ვალდებულება არ მოიცავს საშემოსავლო გადასახადს, ვინაიდან გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი ასახულია შესაბამის მუხლში განცალკევებულად.

დასახელება	ანგარიში	31.12.2022	31.12.2023
გადასახდელი ხელფასები	3130	0	8 816

4.10. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები:

დასახელება	ანგარიში	31.12.2022	31.12.2023
მიღებული ავანსები	3120	37 919	113 090
ჯამი		37 919	113 090

4.11. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები:

საწარმოს მიმდინარე საგადასახადო ვალდებები აღრიცხული აქვს განცალკევებულად, საგადასახადო ანგარიშგებაში დეკლარირებული გადასახადის ოდენობით.

დასახელება	ანგარიში	31.12.2022	31.12.2023
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3320	0	0
გადასახდელი დღგ	3330	0	30 272
ქონები გადასახადი	3380	0	0
ჯამი		0	30 272

4.12. მიმდინარე სასესიო ვალდებულებები:

დასახელება	ანგარიში	31.12.2021	31.12.2022
მოკლევადიანი სესხები	3210	0	0

4.13. გრძელვადიანი სასესიო ვალდებულებები:

საწარმოს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გააჩნდა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულება, ბანკის სესხის სახით, თანხით – 2 767 192 ლარი, რაც აღებულია მიზნობრივად საწარმოს ახალი მაღაზიის გახსნისთვის.

დასახელება	ანგარიში	31.12.2022	31.12.2023
გრძელვადიანი სესხები	4140	2 767 192	1 390 245

5. საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით. ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები და ხარჯები და მოგება ზარალი ასახულია ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდით (მოდელით);

5.1. ამონაგები:

დასახელება	2022 წ	2023 წ
შემოსავალი რეალიზაცია	13 662 479	11 511 528

5.2. არასაოპერაციო შემოსავალი:

საზოგადოება, აწარმოე საქართველოს თანადაფინანსების ფარგლებში იღებს ფულად სახსრებს პროცენტის დასაფარად. შესაბამისად, აღნიშნული თანხები განცალკევებულად გამჟღავნებულია განმარტებით შენიშვნებში.

დასახელება	2022 წ	2023 წ
საპროცენტო შემოსავლები	244 781	241 622

5.3. სხვა შემოსავალი

დასახელება	2022 წ	2023 წ
არასაოპერაციო მოგება	130 952	38 352
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	439	0
ჯამი	131 391	38 352

5.4. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება:

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აღიარებულია შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან,

შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს. ხოლო, ჩამოწერა სორციელდება „საშუალო შეწონილი“ ღირებულებით.

დასახელება	2022 წ	2023 წ
გაყიდული/შეძენილი საქონელი	8 801 103	6 765 482

5.5. თანამშრომელთა ხელფასები

დასახელება	2022 წ	2023 წ
შრომის ანაზღაურება	819 224	1 232 225

5.6. საპროცენტო ხარჯი:

დასახელება	2022 წ	2023 წ
საპროცენტო ხარჯები	313 927	276 076

5.7. საოპერაციო იჯარა:

დასახელება	2022 წ	2023 წ
საიჯარო ქირა	328 428	379 268

5.8. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები:

დასახელება	2022 წ	2023 წ
მიწის ნაკვეთის ხარჯი	22 127	23 659
საპენსიო გადასახადი	14 287	22 079
კომუნალური ხარჯები	54 984	63 251
არასაოპერაციო ზარალი	268 770	100 301
სხვა საერთო ხარჯი	175 830	364 714
ჯამი	535 998	574 005

5.8. ამორტიზაცია:

დასახელება	2022 წ	2023 წ
ამორტიზაცია	0	0

6. ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში გამიჯნულადაა ასახული ფულადი ნაკადები საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან; ფულად ნაკადებში საოპერაციო საქმიანობიდან შეტანილია ამონაგები მარაგების რეალიზაციიდან, ხოლო დანახარჯებში შეტანილია მომწოდებლებზე გადახდილი თანხები, შრომის ანაზღაურება, იჯარა და საგადასახადო ვალდებულებების დაფარვასთან დაკავშირებული გადახდები; ამასთან, მოცემულ ჯგუფში შეტანილია იმპორტის გადასახადი და სხვა საოპერაციო ხარჯები;

ძირითად აქტივების შესყიდვასა და მონტაჟზე საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკით მიკუთვნებულია საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე;

ფულად ნაკადებში ფინანსური საქმიანობიდან შეტანილია მიღებული და გადახდილი პროცენტები, სესხებთან დაკავშირებული ოპერაციები და სხვა ფინანსური ოპერაციები;

7. ცვლილებები საწარმოს საკუთარ კაპიტალში

2023 წლის დასაწყისისათვის საწარმოს კაპიტალი – 7 562 260 ლარს შეადგენდა. 2023 წელს კაპიტალში პარტნიორთა მიერ დამატებითი შენატანი არ განხორციელებულა. საანგარიშგებო პერიოდში ფინანსური მოგება – 2 586 525 ლარით განისაზღვრა, შედეგად, კომპანიის საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდში გაიზარდა მიღებული წმინდა მოგების ხარჯზე და – 10 148 785 ლარი შეადგინა.

8. დასკვნითი ნაწილი

საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება მიღებულია და ნებადართულია გასაცემად 2025 წლის 20 მაისს. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

დირექტორი: /დავით გოგოჭური/



მთავარი ბუღალტერი: /დავით გოგოლაძე/



შპს „კასტა“-ს (ს.ნ 400001840) 2023 წლის მმართველობითი ანგარიში

1. კომპანიის ძირითადი საქმიანობა:

კომპანიის „კასტა“ ძირითად საქმიანობაა საქართველოში ხარისხიანი და ეკოლოგიურად სუფთა ავეჯის დასამზადებელი მასალის შემოტანა, ლამინირებული მერქან ბურბუშელოვანი (მბფ) და მერქანბოჭკოვანი (მდფ) ფილების იმპორტი, ჭრა და რეალიზაცია, როგორც საბითუმოდ ისე საცალოდ.

2013 წელს გაფორმდა ხელშეკრულება ავეჯის მასალების წამყვან ევროპულ ბრენდთან „კრონოშპანი“. აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმების ძირითადი მიზანია ბაზარზე ევროპული, ეკოლოგიურად სუფთა, ხარისხიანი მასალის შემოტანა.

2. ონფორმაცია კომპანიის შესახებ:

2.1. კომპანია „კასტა“ დაფუძნებულია ერთი ფიზიკური პირის მიერ „მეწარმეთა შესახებ“ კომპანიის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასწმეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2010 წლის 2 მარტს

2.2. კომპანიის დამფუძნებელია - ბესიკ ბაღდავაძე, რომელიც ფლობს 100 %-იან წილს საწარმოს კაპიტალში;

3. კომპანიის სტრუქტურა:

კომპანიას გააჩნია შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფები:

- ◆ ადმინისტრაციული განყოფილება სადაც შედის დირექტორი, დირექტორის მოადგილე;
- ◆ გაყიდვების მენეჯერი, კონსულტანტი;
- ◆ საწყობის გამგე;
- ◆ მუშა-ვერტიკალური ხერხის სპეციალისტი;
- ◆ მუშა-წიბოს მიკვრის სპეციალისტი.

კომპანიაში 49 ადამიანია დასაქმებული და მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება.

4. ბიზნეს გარემოსა და ბიზნეს რისკების განხილვა:

4.1. „კასტა“ ავეჯის მასალების ბაზარზე საკმაოდ დიდი გამოცდილების მქონე კომპანიაა, რომელიც უპირატესობას ეკოლოგიურად სუფთა და მაღალი ხარისხის ავეჯის მასალაზე აკეთებს. კერძოდ: ეს არის მერქან ბურბუშელოვანი ფილა (დსპ), მერქან ბოჭკოვანი ფილა (მდფ), HDF (მაღალი დაპრესის ფილა) OSB, რაც აშშ-ის საავეჯე მასალად გამოიყენება. საავეჯე მასალების იმპორტიორი კომპანია „კასტა“ ქართულ ბაზარზე არსებული ხარისხიანი და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის გარანტია (როგორც „კრონოშპანის“ უფლებამოსილი კომპანია), რომელიც მომხმარებელს მისი ფართო არჩევანითა და დახვეწილი დიზაინით საკმაოდ დიდი ხანია ანებივრებს. კომპანიისადმი დაინტერესება გაიზარდა იმ ორგანიზაციების მხრიდან, რომლებიც მუშაობენ: საბავშვო ბაღების, სკოლების, უნივერსიტეტების და სამედიცინო დაწესებულებების ავეჯის დამზადებაზე. კომპანია „კასტას“ შემოაქვს საქართველოში ახალი პროდუქცია - „ახალი მასალა ძველისგან უფრო ორიგინალური და განსხვავებული“. „კრონოშპანის“ გადაწყვეტილებაა, რომ მომხმარებლებს განსხვავებული ფერები შესთავაზოს და მუქი - ფერადით შეცვალოს. კომპანია „კასტა“ ევროპულ ქვეყნებში „კრონოშპანის“ მასალის ერთადერთი დილერია. „კრონოშპანის“ მასალა თანამედროვე სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაშია. ამ მასალისგან დამზადებული ავეჯის უპირატესობა შემდეგია: ადვილად მუშავდება, მტკიცეა, ნესტგამძლეა და მაღალი ხარისხით გამოირჩევა.

4.2. მონაწილეობა საერთაშორისო ფორუმებში:

ავეჯის მასალების მწარმოებელი კომპანია „კასტა“ მიწვეული იყო კვიპროსში „კრონოშპანის“ საერთაშორისო ფორუმზე. ფორუმს ესწრებოდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული დილერები. შეხვედრის მთავარი მიზანი ამ კომპანიის მიერ წარმოებული ახალი მასალის გაცნობაა რომელიც გაყიდვაშია 2018 წლიდან.

4.3. ბიზნეს რისკები

ჩვენი კომპანიის ძირითად ბიზნეს რისკს წარმოადგენს სავალუტო ბაზარზე არსებული არასტაბილური მდგომარეობა, ვინაიდან საავეჯე

მასალა იმპორტირებულია და მისი თვითღირებულება მთლიანად დამოკიდებულია ევროს კურსზე. მიუხედავად ჩვენი პროდუქციის მაღალი ხარისხისა, რთულია ასეთ პირობებში გაუწიოთ კონკურენცია თურქულ პროდუქციას. ამასთან, მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის შესუსტების გამო ძირითადად მყიდველები არჩევენ აკეთებენ ფასზე და არა ხარისხზე. ასევე, ქართულ ბაზარზე არ არსებობს საავეჯე მასალაში არსებული მავნე ნივთიერებების (მელამინი) დასაშვები დონის სამართლებრივი ჩარჩო, რაც თავისმხრივ, ართულებს ბაზარზე კონკურენტუნარიანი გარემოს შენარჩუნებას.

5 საქონლისა და მომსახურების მიწოდების დინამიკა:

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ კომპანიის საქმიანობის უკეთ აღქმის მიზნით, ცხრილში მოცემულია მომსახურების მიწოდების დინამიკა ბოლო 5 წლის განმავლობაში, მათ შორის უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშებით:

საქონლისა და მომსახურების გაყიდვების მიწოდების ყოველწლიური დინამიკა

პერიოდი	ბრუნვა ეროვნულ ვალუტაში	კურსი წლის ბოლო დღისათვის	ბრუნვა ევროში
2023	11 511 528	2,9753	3 869 031
2022	13 662 479	2,8844	4 736 680
2021	9 676 335	3,5040	2 761 511
2020	6 690 645	3,0976	2 159 945
2019	7 231 024	3,2095	2 253 006
2018	6 006 989	3,0701	1 958 853
2017	4 495 356	3,1044	1 448 059
2016	2 981 711	2,7940	1 067 184

წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2025 წლის 20 მაისს.

შპს „კასტას“ დირექტორი



დავით გოგოჭური